(არქიტექტურა) შ.პ.ს „მეტი“

რობაძიძის გამზ. №7

0159

თბილისი

საქართველო

ველოსიპედების ასაწყობი ქარხანა

დამკვეთი: შ.პ.ს „თ.ნ.ნ“

0179

თბილისი

საქართველო

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

შეასრულა: ბ. გოგოლაური

ქ. თბილისი 2021 წ.

შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:

ნახაზი მო-1----------სამშენებლო გენგეგმა
ნახაზი მო-2----------სამონტაჟო სქემა

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

2. სამშენებლო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ზაჰესის ტერიტორია /ს.კ 72.12.01.908/. ნაკვეთი ხასიათდება წყნარი რელიეფით. საპროექტო შენობა არის ერთსართულიანი სამრეწველო ტიპის ნაგებობა. ობიექტის სტრუქტურული სისტემა წარმოადგენს მონოლითურ კარკასულ კონსტრუქციას, გადახურვა გათვალისწინებულია ლითონის კოჭებით. საძირკველი იქნება მონოლითური რკინაბეტონის ლენტური. სახურავის მოწყობა და ფასადების მოპირკეთება ხდება სენდვიჩ-პანელებით. გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ფენები:

--ფენა №1----------ასფალტის ფენა;
--ფენა №2----------ხრეშის ფენილი;
--ფენა №3----------დელუვიურ-პროლუვიური თიხნარი;
--ფენა №4----------დელუვიური თიხა.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--ტერიტორიის ფართი----------6800.00მ^2;
--საერთო ფართი----------1229.40მ^2;
--შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე----------11.75მ;
--შენობა-ნაგებობის მოცულობა----------12081.70მ^3

3. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება **СниП 1.04.03-85** თანახმად, ანალოგი გვ. 470, პ.23 T=9.00თვე, სადაც 1.00—მოსამზადებელი სამუშაოების ხანგრძლივობა. გვ 2 პ 11-ის მიხედვით T=9.00+4.00=13.00თვე გვ 4 პ.17-ის მიხედვით **T=13.00x1.15=15.00თვე.**

მოსამზადებელ პერიოდში უნდა განხოციელდეს შემდეგი სამუშაოები:
--"დროებითი ნაგებობების" განლაგება ჯგუფურად, უსაფრთხო ზონაში;
--საპროექტო მაგისტრალური ქსელების გაკვანა;
--არსებული გრუნტის გზის გამოყენება;
--არსებული ღობის გამოყენება;

--დროებითი ჭიშკრების დაყენება;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;
--ტერიტორიის დროებითი განათება;
--ტერიტორიაზე სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების შემოტანა;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის მონტაჟი და შეერთება დროებით წყალსადენის ქსელთან.

4. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით. დამუშავებული გრუნტი ზედმეტ მოცულობაში უნდა იქნას გატანილი. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით. მოცულობა უკუჩაყრისათვის შეიძლება დარჩეს ადგილზე.
დამუშავების სიძნელის მიხედვით გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:
--ასფალტის ფენა და ხრეშის ფენა----------ექსკავატორით-1 ჯგუფი, ბულდოზერით და ხელით-------2 ჯგუფი;
--დელუვიურ-პროლუვიური თიხნარი--------სამივე სახეობით დამუშავებისას-----2 ჯგუფი;
--დელუვიური თიხა----------სამივე სახეობით დამუშავებისას--------3 ჯგუფი.

საჭირო ძირითადი სამონტაჟო მექანიზმების ძირითადი სია

N	დასახელება	დახასიათება	
		მექანიზმი	დანიშნულება
1	ველოსეპიდების ქარხანა	საავტომობილო ამწე **KC-65717-34** და ბეტონის ტუმბო **Putzmeister M52-5**	1. კარკასის ყალიბის და არმატურის მიწოდება, სენდვიჩ-პანელების და ლითონოს კოჭების დაყენება. /ამწე მოძრაობს შუა მალში "უკუსვლით", და კონტურის ირგვლივ ფასადების მოპირკეთების დროს/ 2. ბეტონის ნარევის მიწოდება, მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების მოწყობა

ყურადღება! მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას დამკვეთის ან სამუშაოთა მწარმოებლის სურვილის თანახმად ანალოგიურ მარკაზე.
მშენებლობის ძირითადი პერიოდის სამუშაოები:
--მესამე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, საძირკვლის ფუძის და საძირკვლის მოწყობა----------90 დღე;

--მეოთხე ეტაპი----------ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობის ნულოვან ნიშნულამდე----------30 დღე;
--მეხუთე ეტაპი---------- ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობის ნულოვანი ნიშნულიდან:
0.00—8.00 მდე----------90 დღე;
8.00---10.25 მდე----------60 დღე.
--მეექვსე ეტაპი----------შენობის სახურავის და გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------60 დღე;
--მეშვიდე ეტაპი----------შენობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა---60 დღე;
--მერვე ეტაპი----------შენობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------30 დღე;
--მეცხრე ეტაპი----------მიწის ნაკვეთის კეთლმოწყობის სამუშაოები----------30 დღე

სენდვიჩ-პანელების ტრანსპორტირება, შენახვა და მონტაჟი:

-სენდვიჩ-პანელების ტრანსპორტირება ხდება სატვირთო ღია პლატფორმების მქონე ავტომანქანებით;
-პლატფორმის სიგრძე არ უნდა იყოს ნაკლები ვიდრე პანელის სიგრძე;
-პლატფორმის სიგანე არ უნდა იყოს ნაკლები 2.5მ-ს;
-პლატფორმას უნდა ჰქონდეს სამაგრი "ბაგირები" /პანელების დასაჭერად/;
-სენდვიჩ-პანელების გადმოტვირთვა უნდა მოხდეს საავტომობილო ან მუხლუხასავილიანი ამწის საშუალებით;
-თუ გადმოსატვირთი პაკეტის სიგრძე აღემატება 8 მ-ს, გამოყენებული იქნას სპეციალური "განივი კოჭი" ტრავერსებთან ერთად;
-პანელების დაწყობა მოედანზე უნდა მოხდეს სპეციალურ საფუძველზე შეფუთულ მდგომარეობაში;
-მონტაჟისას უნდა იყოს გათვალისწინებული:
-ქარის სიჩქარე /არ უნდა აღემატებოდეს 9მ/წ/;
-ამინდი /არ უნდა იყოს წვიმა ან თოვლი და ტემპერატურა არ უნდა იყოს $+4^0$ ნაკლები/;
-სპეციალური დამცავი მოწყობილობა ბლოკის პერიმეტრზე /პანელის ვარდნის შემთხვევაში/;
-კარკასის ზუსტი და სრული მონტაჟი;
-ინსტრუმენტების შემოტანა მოედანზე;
-სენდვიჩ-პანელების ჩაჭრისას /საჭიროების შემთხვევაში/ უნდა იყოს გათვალისწინებული:
-სპეციალური ხერხების გამოყენება;
-ამოჭრილი ნაწილების გამაგრება.
-სენდვიჩ-პანელების მიმაგრება კარკასთან უნდა ხდებოდეს სპეციალური ინსტრუმენტებით;
-სენდვიჩ-პანელების მონტაჟი უნდა ხდებოდეს ამწის საშუალებით;
-წვრილი ელემენტების მონტაჟი შეიძლება მოხდეს ხელით;
-მონტაჟის შემდეგ აუცილებლად გათვალისწინდეს ნაკერების შევსება, დამცავი ფენის მოხსნა და საჭიროების შემთცვევაში მოხდეს პანელის ჩარეცხვა.

ყურადღება !!! სენდვიჩ-პანელების მონტაჟისას აკრძალულია იმავე სამშენებლო ზონაში ნებისმიერი შემდუღებელი სამუშაოების ჩატარება.

5. უსაფრთხოების ტექნიკა

ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციია საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს **საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების – "მშენებლობის უსაფრთხოების წესები"-ს** მოთხოვნათა გათვალისწინებით

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის ტუმბოს საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

საავტომობილო ამწე **KC-65717-34 / IVECO Trakker /-ის** ტექნიკური დახასიათება

1	ბაზა	IVECO Trakker
2	ბორბლების ფორმულა	6x6
3	სრული მასა	38.60ტნ
4	სიმძლავრე	420ცხ. ძალა
5	ტვირთამწეობა	2.00-14.50ტნ
6	ისრის სიგრძე	26.60მ
7	ისრის შვერა	24.00-8.00მ
8	აწევის სიმაღლე	26.00-2.0მ
9	ამწის ზომა	12.00x2.50x4.00მ
10	საყრდენების შორის მანძილი	8.85მ

Putzmeister M52-5-ის ტექნიკური დახასიათება

1	მოცულობა	160.00მ³/სთ
2	აწევის სიმაღლე	50.00მ
3	შვერა	48.10
4	შლანგის სიგრძე	4.00მ
5	მანქანის სიგრძე	13.60მ
6	დგარების შორის მანძილი	10.20მ

სამშენებლო გენგეგმა მ1:700



ექსპლიკაცია

1 საპროექტო შენობა
2 საავტომობილო ამწე KC-65717-34 /IVECO Traccer/
3 დროებითი სამონტაჟო მოედანი
4 ბეტონის ტუმბო Pultzmeister M52-5
5 დროებითი საყარაულო
6 სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი" /კონტ. ტიპის/
7 დროებითი კვების "ოთახი" /კონტ. ტიპის/
8 დროებითი საგარდერობო /კონტ. ტიპის/
9 ჰიდრანტი
10 დროებითი საარმატურო /ფარდული/
11 დროებითი საყალიბე /ფარდული/
12 დროებითი დახურული საწყობი /კონტ. ტიპის/
13 დროებითი ბიოტუალეტი
14 არსებული კაპიტალური ღობე
15 არსებული ბადიანი ღობე
16 დროებითი ორფრთიანი ჭიშკარი –2 ცალი

პირობითი აღნიშვნები

-საპროექტო შენობა
-დროებითი "ნაგებობა"
-არსებული ბადიანი ღობე
-ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
-არსებული ღობე
-არსებული გრუნტის გზა

(არქიტექტურა) შ.პ.ს „მეტი"
რობაქიძის გამზ. №7
0159
თბილისი
საქართველო

(სტრუქტურა) შ.პ.ს „მეტი"
რობაქიძის გამზ. №7
0159
თბილისი
საქართველო

(სახანძრო უსაფრთხოება) შ.პ.ს „მეტი"
რობაქიძის გამზ. №7
0159
თბილისი
საქართველო

(ინტერიერი) შ.პ.ს „მეტი"
რობაქიძის გამზ. №7
0159
თბილისი
საქართველო

დამკვეთი: შ.პ.ს „თ.ნ.ნ.ნ"
0179
თბილისი
საქართველო

ველოსიპედების ასაწყობი ქარხანა

შენიშვნები:

სიტუაციური სქემა:

#	თარიღი	
1	თარიღი 1	
2	თარიღი 2	
3	თარიღი 3	
4	თარიღი 4	
5	თარიღი 5	
6	თარიღი 6	

გამოცემა:

პროექტის №: 01
CAD PLA FILE:
შეასრულა: ბ. გოგოლაური
შეამოწმა: ნ.წულაია
საავტორო უფლებები: მ.ხარაზიშვილი
სამშენებლო გენგეგმა

მო-1

A-3

ლითონის კოჭების და სენდვიჩ-პანელების მონტაჟისას
გამოყენებული იქნას სპეციალური ტრავერსა

KC-65717-34
/ IVECO Trakker /



შენიშვნა: 1. სამონტაჟო მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად
2. გადახურვის სისტემის მონტაჟისას ამწემ უნდა იმოძრაოს შუა მალში "უკუსვლით"

(არქიტექტურა) შ.პს „მეტი“
პროექტის №7
0159
თბილისი
საქართველო



(არქიტექტურა) შ.პს „მეტი“
პროექტის №7
0159
თბილისი
საქართველო

(სახანძრო უსაფრთხოება) შ.პს „მეტი“
პროექტის №7
0159
თბილისი
საქართველო

(კონსტრუქცია) შ.პს „მეტი“
პროექტის №7
0159
თბილისი
საქართველო

დამკვეთი: შ.პს „ი.ნ.ნ.ნ“
0179
თბილისი
საქართველო

მშენებლობის ასაწყობი ძარხანა

შენიშვნები:

სიტუაციური სქემა:

#	თარიღი	
1	თარიღი 1	
2	თარიღი 2	
3	თარიღი 3	
4	თარიღი 4	
5	თარიღი 5	
6	თარიღი 6	

გამოცემა:

პროექტის №: 01
CAD PLA FILE:
შესრულა: ბ. ბოგოლაური
შემოწმა: ნ.წულაია
საავტორო უფლებები: მ.ხარაზიშვილი
სამონტაჟო სქემა

მო-2

A-3

ბ/ კალენდარული გეგმა 15.0 თვე

№	სამუშაოს დასახელება	დღე	1 წელი												2 წელი					
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	1	2	3	4	5	6
			15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15
	პირველი რიგი																			
	მშენებლობის მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები																			
I	საწყისებლო მოედნის მოწესრიგება	15	—																	
II	შენობა-ნაგებობის ბრუნტზე დაგეგმარება და პერიმეტრზე ღობის დაფიქსირება	15		—																
	მეორე რიგი																			
	მშენებლობის პერიმეტრი პერიოდის სამუშაოები																			
III	შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები	90																		
	შენობა-ნაგებობის საპროექტო შუბის მოწყობა			—	—	—	—													
	შენობა-ნაგებობის საპროექტო მოწყობა																			
IV	პერიმეტრი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობის ნულოვან ნიშნულამდე	30					—	—												
V	შენობის ნულოვანი ნიშნულიდან პერიმეტრი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა:																			
	0.00—8.00 მრ;	90						—	—	—	—									
	8.00—10.25 მრ.	60										—	—	—						
VI	შენობის სახურავის და გარსახურავის მოწყობა	60											—	—	—					
	შენობის არაგზიდი კონსტრუქციების მოწყობა																			
VII	შენობის დროპალუბი სამაგრე სარკინიგზის საინჟინრო-ტექნიკური ფილების მოწყობა	60												—	—	—				
	ტექნოლოგიური მოწყობილობის მონტაჟი																			
VIII	შენობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	30														—	—			
IX	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები	30															—	—		

შენიშვნები:
1. მშენებლობის განსაზღვრული ვადის ათვლა განხორციელდება მშენებლობის ნებართვის აღების შემდეგ.
2. ნებართვის მფლობელი ვალდებულია შესატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ 10 დღით ადრე.

დაამუშავა: / ბ. ბოგოლაშვილი /